№ 1/10-11

ხელშეკრულება № 02/54-12

გაზომვის საშუალებების დაკალიბრებაზე

ქ. თბილისი " 26 " იანვარი 2012

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო, შემდგომში "შემსრულებელი", მისი გენერალური დირექტორის კ. გულედანის სახით ერთის მხრივ და შპს „სამთომაშველი"

ფიზიკური ან იურიდიული პირის, ორგანიზაციის სრული დასახელება.

შემდგომში "დამკვეთი"("მომხმარებელი") მისი დირექტორის თ. ვადაჭკორიას

ხელმძღვანელის სახელი და გვარი

სახით მეორეს მხრივ, შევთანხმდით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 .წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს "დამკვეთსა" და "შემსრულებელს" შორის ურთიერთობას გაზომვის საშუალებების დაკალიბრების განხორციელებასთან დაკავშირებით.

1.2 ."შემსრულებელი" კისრულობს ვალდებულებას დაუკალიბროს "დამკვეთს" მის მიერ წარმოდგენილი გაზომვის საშუალებები წარმოდგენილი გრაფიკის, ან განაცხადის საფუძველზე.

2. მხარეთა უფლება - მოვალეობები:

2.1 "შემსრულებელი" ვალდებულია:

2.1.1 უზრუნველყოს გაზომვის საშუალებების დაკალიბრება დროულად და ხარისხიანად.

2.1.2. გაზომვის საშუალებების დაკალიბრების დადებითი შედეგის შემთხვევაში უზრუნველყოს გაზომვის საშუალების დადაღვა ან/და გასცეს სერტიფიკატი დაკალიბრების შესახებ, ხოლო უარყოფითი შედეგის შემთხვევაში, „დამკვეთის" წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, გასცეს შესაბამისი დასკვნა.

2.2 "დამკვეთი" ვალდებულია:

2.2.1. უზრუნველყოს "შემსრულებლისათვის" გაზომვის საშუალებების და ყველა საჭირო დოკუმენტის დროულად წარდგენა.

2.2.2. გაზომვის საშუალებების „დამკვეთის" ტერიტორიაზე დაკალიბრებისას უზრუნველყოს "შემსრულებელი" ნორმალური სამუშაო პირობებით და საჭიროების შემთხვევაში დამხმარე პერსონალით.

3. სამუშაოს ღირებულება, ანგარიშსწორების პირობები

3.1. სამუშაოს ღირებულება შეადგენს 485-10 (ოთხას ოთხმოცდა ხუთი)

ლარს და 10 თეთრს დღგ-ს ჩათვლით

3.2. "დამკვეთი" უნაზღაურებს "შემსრულებელს" მის მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულებას მხარეებს შორის სამუშაოთა შესრულების მიღება-ჩაბარების აქტის, ან ანგარაშ-განცხადების გაფორმებიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.

3.3 გაზომვის საშუალებების „დამკვეთის" ობიექტზე დაკალიბრების შემთხვევაში, „დამკვეთი" წინასწარ უნაზღაურებს "შემსრულებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის სრულ ოდენობას.

3.4 ეროვნულ სააგენტოში დაკალიბრების შემთხვევაში, გაზომვის საშუალება და დაკალიბრების სერტიფიკატი „დამკვეთს" გადაეცემა თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ.

4. პრეტენზიები, მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. მხარეები პასუხს აგებენ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის, ან ნაწილობრივ შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
4.2 "შემსრულებელი" პასუხს აგებს "მომხმარებლისათვის"მიყენებულ ზიანზე, კერძოდ, გადაცემული გაზომვის საშუალებების დაკარგვისა და დაზიანებისათვის, თუ ასეთი ზიანი გამოწვეულია შემსრულებლის ბრალით.
4.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადების დარღვევისთვის შემსრულებელი შემკვეთს პირგასამტეხლოს სახით გადაუხდის განუხორციელებელი მომსახურების მთლიანი ღირებულების 0.1% ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის.
4.4 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის შემკვეთი ვალდებულია პირგასამტეხლოს სახით გადაუხადოს შემსრულებელს ვადაგადაცილებული თანხის 0.1% ყოველი სრული ვადაგადაცილებული დღისთვის;

5. ფორს-მაჟორი.

5.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუ ისინი გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური მოვლენები, შეიარაღებული კონფლიქტები და სხვა) შედეგად და თუ ეს მოვლენა დაიწყო, ან განვითარდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.
5.2 მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, გადაიწევს იმ ვადით, რა ვადითაც გრძელდებოდა ფორს-მაჟორული გარემოებები.
5.3. მხარე, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია წერილობით, 5 დღის ვადაში შეატყობინოს მეორე მხარეს ამის შესახებ.

6. საერთო პირობები:

6.1. ხელშეკრულების ცვლილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.
6.2 მხარეთა შორის ნებისმიერი უთანხმოება, რომლის გადაჭრაც ვერ მოხერხდება მოლაპარაკებისა და შეთანხმების საფუძველზე, განსახილველად გადაეცემა სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6.3. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 15.02 2012წ
6.4. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად. თითოეულ მხარესთან ინახება თითო ეგზემპლარი.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

"შემსრულებელი":	"დამკვეთი"
ქ. თბილისი, ჩარგალის №67	ქ. თბილისი თრიალეთის ქ №54
ბანკი „რესპუბლიკა"	სს. „საქათველის ბანკი" ც/ფ
ბანკის კოდი №REPLGE22	ბ/ კ BAGAGE22
საიდენტიფიკაციო კოდი № 200162224	ს/კ 206303917
ანგ/ანგარიში№GE22BR0000010057276631	ა/აGE84BG0000000213502700
	☏ 227–83–79
____________ კახაბერ [illegible]	____________ თ. ვადაჭკორია